თბილისი | 03 ივლისი, 2020

თსუ-ის აკადემიური საბჭოს წევრთა საარჩევნო კომისიის სხდომის N3 ოქმი

სხდომას ესწრებოდნენ:

ზვიად მურადაშვილი, გიორგი ოქიტაშვილი, თამარ ლეკაშვილი, სალომე ჩიტიშვილი, ანა თოხაძე, დავით მახვილაძე, თამარ ტატანაშვილი, მირანდა მიქაძე, ცისანა გავაშელი.

დღის წესრიგი:

ა) ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის წარმომადგენლის როლანდ თოფჩიშვილის მომართვის განხილვა.

დღის წესრიგი დამტკიცდა ერთხმად.

ა/წ 2 ივლისს ჩატარდა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრთა არჩევნები. არჩევნების დასრულების შემდგომ შემაჯამებელი ოქმი დადგენილი წესის შესაბამისად გამოქვეყნდა უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე.

დოკუმენტის გასაჯაროების შემდეგ ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის წარმომადგენელმა, როლანდ თოფჩიშვილმა საარჩევნო კომისიის თავმჯდომარესთან, ზვიად მურადაშვილთან სატელეფონო საუბრისას დააფიქსირა პრეტენზია ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის საარჩევნო შედეგებთან დაკავშირებით. კომისიის თავმჯდომარის მიერ მას განემარტა კომისიისათვის საჩივრის წარდგენის შესაძლებლობა და წესი.

მიმდინარე წლის 03 ივლისის 18:00 საათის მდგომარეობით, უნივერსიტეტის კანცელარიაში არ შემოსულა საჩივარი. მიუხედავად ამისა, ფაქტთან დაკავშირებით, კომისიის თავმჯდომარემ ზვიად მურადაშვილმა მოიწვია კომისიის სხდომა და გააცნო კომისიის წევრებს ზემოაღნიშნული სატელეფონო საუბრის შინაარსი. კომისიის წევრთა ერთხმად მიღებული გადაწყვეტილებით განხორციელდა საარჩევნო ბიულეტენების გადათვლა და გადათვლის შედეგების დადარება შემაჯამებელ ოქმში დაფიქსირებულ მონაცემებთან, რომლის საფუძველზე დადგინდა ტექნიკური ხარვეზი თსუ-ის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის არჩევნების შედეგების ნაწილში.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით კომისიამ დაადგინა:

1. თსუ-ის საარჩევნო კომისიის 2020 წლის 02 ივლისის შემაჯამებელ ოქმში გასწორდეს ტექნიკური ხარვეზი ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ნაწილში და მასში დაფიქსირებული მონაცემები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ამომრჩეველთა რაოდენობა საარჩევნო სიის მიხედვით	0	4	6
არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა რაოდენობა საარჩევნო სიაში ამომრჩეველთა ხელმოწერების მიხედვით	0	3	2
საარჩევნო ბიულეტენების საერთო რაოდენობა	0	5	7

	გამოყენებელი ბიულეტენების რაოდენობა	0	3	2
	გამოუყენებული ბიულეტენების რაოდენობა	0	2	5
	გაფუჭებული ბიულეტენების რაოდენობა	0	0	0
	საარჩევნო ყუთში აღმოჩენილი საარჩევნო ბიულეტენების საერთო რაოდენობა	0	3	2
	თითოეული კანდიდატის მიერ მოპოვებული ხმების რაოდენობა			
1	ნინო მინდაძე	0	3	0
	ბათილი ბიულეტენების რაოდენობა	0	0	2

2020 წლის 02 ივლისის შემაჯამებელ ოქმში დაფიქსირებული სხვა ყველა მონაცემი რჩება უცვლელი.

წინამდებარე ოქმი გამოქვეყნდეს თსუ-ის ოფიციალურ ვებგვერდზე.

1. ზვიად მურადაშვილი (კომისიის თავმჯდომარე)----------
2. გიორგი ოქიტაშვილი (კომისიის მდივანი) ----------
3. თამარ ლეკაშვილი ----------
4. სალომე ჩიტიშვილი ----------
5. ანა თოხაძე ----------
6. დავით მახვილაძე ----------
7. თამარ ტატანაშვილი ----------
8. მირანდა მიქაძე ----------
9. ცისანა გავაშელი ----------